

# პოლიომიელიტი

## რა არის პოლიო?

პოლიომიელიტი არის ვირუსი, რომელიც იწვევს ცხელებას, ღებინებას და კუნთების გაშეშებას. თუნერვეები და ზიანდა, შეიძლება გამოიწვიოს მუდმივი და მბლუ - ეს არის კუნთების გამოყენების დაკარგვა. პოლიომიელიტს ასევე შეუძლია სუნთქვისა და ყლუპვის კუნთების პარალიზება, რასაც სიკვდილმდე მიყავს ადამიანი.

## როგორ ავადდებიან ადამიანები პოლიომიელიტით?

ეს არის ძალზე ინფექციური დაავადება, რომელიც ძირითადად ვრცელდება ინფიცირებულა და მიახთან მჭიდრო კონტაქტით. პოლიომიელიტის ვირუსი ცხოვრობს ყელში და ნაწლავებში. ვირუსი გვხვდება ნაწლავებში და ვრცელდება ინფიცირებულ ადამიანის განავლით (კუჭის მოქმედება). ვირუსი შეიძლება გავრცელდეს ხელების ცუდი დაბანის ან წყლის დაბინძურების გამო.

ინფიცირებული ადამიანის ყელში აღმოჩენილი ვირუსი ასევე შეიძლება გავრცელდეს ნერწყვით.

## რა არის პოლიომიელიტის სიმპტომები?

პოლიომიელიტის ინფექციამ შეიძლება გამოიწვიოს მსუბუქი სიმპტომები ან ძალაან მძიმე დაავადება. ზოგიერთ ადამიანს შეიძლება არ ჰქონდეს სიმპტომები ან შეიძლება ჰქონდეს თავის ტკივილი, თავს ზოგადად ცუდად გრძნობდეს ან აუწიოს სიცხემ. სხვებს შეიძლება ჰქონდეს სერიოზული სიმპტომები, როგორცაა მენინგიტი (სადაც თავის ტვინის ლორწოვანი გარსის ანთება ხდება) ან და მბლუ (როდესაც ისინი კარგავენ კუნთების გამოყენებას), თუ ინფექცია მიაღწევს ცენტრალურ ნერვულ სისტემას. უარეს შემთხვევაში სუნთქვისთვის გამოყენებულ კუნთების პარალიზება ხდება, რაც შეიძლება ფატალური იყოს.

პოლიომიელიტის მქონე ადამიანებს შორის:

- 100-დან 1 პარალიზდება.
- პარალიზებულ 10 პაციენტიდან 1 მოკვდება.
- და მბლუს მქონე 2 ადამიანიდან 1, ვინც გადარჩება, სამუდამოდ პარალიზებულ იქნება.

## ვინ უნდა მიიღოს ვაქცინა?

## HSE-ის ეროვნული იმუნიზაციის სამსახურმა

პოლიომიელიტის პრევენცია ხდება ვაქცინაციის გზით.

პოლიომიელიტის ვაქცინა ეძლევა ყველა ბავშვს, როგორც 6 1-ში ვაქცინის ნაწილი 2, 4 და 6 თვის ასაკში. ვაქცინა 6 1-ში იცავს დიფტერიის, B ჰეპატიტის, Hib-ის (B ტიპის ჰემოფილუს ინფლუენცა), ყივანახველს, პოლიომიელიტის და ტეტანუსისგან.

ვაქცინის ბუსტერ დოზა ეძლევა 4-5 წლის ასაკში ([4 1-ში 1 ვაქცინის](#)) სახით, რომელიც იცავს დიფტერიის, ყივანახველს, პოლიომიელიტის და ტეტანუსისგან.

თუ თქვენს შვილს ესაჭიროება ვაქცინაცია, ან არ ხართ და რწმუნებულ თქვენი შვილის ვაქცინაციის სტატუსში, და უკავშირდით თქვენს ოჯახის ექიმს რჩევებისთვის

## ვინ არ უნდა გაიკეთოს პოლიომიელიტის ვაქცინა?

ძალიან ცოტაა ისეთი ადამიანი, ვინც არ უნდა გაიკეთოს პოლიომიელიტის ვაქცინა. თქვენმა შვილმა არ უნდა მიიღოს ვაქცინა, თუკი მას ჰქონდა მწვავე ალერგიული რეაქცია (ანაფილქსია) ვაქცინის წინა დოზაზე ან მის რომელიმე ნაწილზე.

## რას უნდა ველოდოთ პოლიო ვაქცინის შემდეგ?

ვაქცინის მიღების შემდეგ თქვენს შვილს შეიძლება ჰქონდეს დისკომფორტი, სიწითლე ან შეშუპება იმ ადგილს გარშემო, სადაც ინექცია გაუკეთეს. ის შეიძლება იყოს გაღიზიანებულ და ჰქონდეს სიცხე.

თუ ეს მოხდება, შეგიძლიათ მისცეთ მას პარაცეტამოლი ან იბუპროფენი. ასევე უნდა მისცეთ მას დიდი ოდენობით სითხე. და რწმუნდით, რომ თქვენს შვილს არ სცხელა და რომ ტანსაცმელი არ ეხახუნება ნანემსარადგის.

ბავშვებში, როგორც წესი, ეს უმნიშვნელო გვერდითი ეფექტები ალგდება ერთი ან ორი დღის განმავლობაში.

სერიოზული გვერდითი მოვლენები ძალიან იშვიათია.

## როგორ მიუშაობს პოლიომიელიტის ვაქცინა?

ვაქცინა ასტიმულირებს იმუნურ სისტემას, რათა შექმნას დაცვა პოლიომიელიტისგან. ჩვილებს ესაჭიროებათ ვაქცინის სამი დოზა, რომ დაცული იყვნენ.

## რამდენად ეფექტურია პოლიომიელიტის ვაქცინა?

HSE-ის ეროვნული იმუნიზაციის სამსახურმა

ბავშვების 99% ხდება იმუნური პოლიომიელიტის მიმართ, როდესაც ისინი დაასრულებენ ვაქცინაციის რეკომენდებულ განრიგს.

## **ჯერ კიდევ არის პოლიომიელიტის შემთხვევები?**

2022 წლის განმავლობაში, აუცრელად მიანს ნიუ-იორკში და ემართა პარალიზება პოლიომიელიტის ინფექციის გამო.

## **სად შეიძლება გავიგომეტი?**

ესაუბრეთ ჯანდაცვის სანდო პროფესიონალს და ეწვიეთ [www.immunisation.ie](http://www.immunisation.ie)